ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №543236

ნომერი: AR1107556

თარიღი : 06.02.2013

გაცემის თარიღი : 20.03.2013

გაცნობის თარიღი : 21.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 13 / ქალაქი თბილისი , კოჯრის გზატკეცილი, სტელა "თბილისი"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N13-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/004);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ტიკურიშვილი პ/ნ 01024012114
- თბილისი ლ.გოთუას ქ. N 22 ბ. 118

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ფუნქციური ზონის ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ თქვენი საკითხი განხილული იქნა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2013 წლის 23 იანვრის #3 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, კოჯრის გზატკეცილის #13, სტელა „თბილისი“–ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.15.08.005.004) ფუნქციური ზონის სტატუსის ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონის სარეკრეაციო ზონა 2–ით ცვლილებას მიეცა თანხმობა (თქვენს მიერ ელექტრონულ დანართში მითითებული ნახაზის შესაბამისად) სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს. შესაბამისად, საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილი იქნა ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომაზე, რომლის 2013 წლის 25 იანვრის N1–2 გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმაში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლითაც დაკმაყოფილებული იქნა თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.